

## საბანკო სესხის ხელშეკრულების ძირითადი პირობები

### 1. სესხის გაცემის ზოგადი დებულებები და პირობები

- 1.1. სესხი გაიცემა გადახდევინების, ვადიანობის და დაბრუნებადობის პირობით.
- 1.2. სესხი ითვლება გაცემულად, მსესხებლის მიერ ბარათის გააქტიურების/პირველი გასავლის საბარათე ოპერაციის განხორციელების მომენტში. მსესხებელზე სესხის გაცემის ფაქტი შეიძლება დასტურდებოდეს ნებისმიერი, მითითებული ოპერაციების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტით, მათ შორის ანგარიშის ამონაწერით.
- 1.3. სესხის გაცემის თარიღად ჩაითვლება ოპერაციის ჩატარების თარიღი, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში. სესხის დაბრუნების თარიღად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ბანკის წინაშე არსებული მსესხებლის დავალიანების დაფარვის თარიღი. სესხის გაცემისა და დაბრუნების თარიღად სრული მოცულობით ჩაითვლება ერთ დღედ. სესხზე სარგებლის დარიცხვისას გათვალისწინებული იქნება დღეების ფაქტიური რაოდენობა (კალენდარის მიხედვით), ამასთანავე წელიწადი განისაზღვრება 365 დღით. სარგებელი, სესხით სარგებლობისათვის დაერიცხება სესხის ფაქტიური ნაშთის თანხას. სესხის ან მისი ნაწილის დაფარვის თარიღიდან საკრედიტო ლიმიტის ოდენობა აღდგება დაფარული სესხის თანხაზე.
- 1.4. იმ შემთხვევაში, თუ სესხის დაბრუნების თარიღი ან/და მის მიხედვით სარგებლის გადახდის თარიღი დაემთხვევა სადღესასწაულო ან დასვენების დღეს, სესხის დაბრუნება ან/და სარგებლის გადახდა ხორციელდება, შესაბამისი სადღესასწაულო ან დასვენების დღის მომდევნო სამუშაო დღეს.
- 1.5. ბარათის მომსახურების პირველი წლის საკომისიოს გადახდა ხორციელდება ბარათის მეშვეობით პირველი გასავლის ოპერაციის ჩატარების /ბარათის გააქტიურების მომენტში, ანგარიშზე არსებული საკრედიტო ლიმიტის თანხიდან ბანკის მიერ მისი ჩამოჭრის გზით.
- 1.6. ბარათის მომსახურების მეორე წლის და შემდგომი წლების საკომისიოს გადახდა განხორციელდება ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტის თანხის ანგარიშიდან ჩამოჭრის გზით.
- 1.7. დავალიანების დაფარვის რიგითობა: 1) ბარათის/ანგარიშის მომსახურებისათვის დარიცხული საკომისიო სარგებელი; 2) სარგებელი სესხის მოხმარებისათვის; 3) სესხის თანხა.

ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოქმნის შემთხვევაში, სესხის თანხის დაბრუნება და მისი სარგებლის, პირგასამტეხლოს, საკომისიოს, ხარჯების/დანახარჯების გადახდა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: 1) სესხის, მასზე დარიცხული სარგებლისა და პირგასამტეხლოს თანხის დაფარვის ვალდებულებების შესრულებისათვის ბანკის მიერ გაწეული ხარჯების თანხა; 2) ბარათის/ანგარიშის მომსახურებისათვის დარიცხული საკომისიო სარგებელი; 3) პირგასამტეხლოს თანხა; 4) სარგებლის თანხა; 5) სესხის თანხა. ბანკი უფლებამოსილია

დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს დაფარვის სხვაგვარი რიგითობა რომელიც მითითებულია წინამდებარე პუნქტში.

- 1.8. სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაფარვის წესი და პერიოდულობა:
  - 1.8.1. სესხის დაბრუნება, მასზე დარიცხული სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, ბანკის ხარჯების, დანახარჯების და ბანკის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მსესხებლის დავალიანებების სხვა თანხების (მიმდინარე, ვადაგადაცილებული) (შემდგომში ერთობლივად წოდებული დავალიანებების თანხა) გადახდა განხორციელდება უნაღდო გადარიცხვით ან ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანით; 1) ბანკის მომსახურების დისტანციური არხების მეშვეობით; 2) [POS-ტერმინალების] მეშვეობით; [ბანკომატების] მეშვეობით; 4) ბანკის სალაროს მეშვეობით; 5) უნაღდო ფორმით დაფარვის ნებისმიერი სხვა ხერხების საშუალებით, ბანკის მიერ ანგარიშიდან დავალიანებების თანხების შემდგომი რეგულარული უაქცეპტო ამოღებით;
  - 1.8.2. სესხი და სესხზე დარიცხული სარგებელი ექვემდებარება დაფარვას/გადახდას საანგარიშო პერიოდის ნებისმიერ სამუშაო დღეს და მის მომდევნო პერიოდში, რომელიც უტოლდება 25 კალენდარულ დღეს (შემდგომში - საგადახდო პერიოდი), ამასთანავე ნაწილობრივი დაფარვა ხორციელდება ყოველთვიურად არანაკლებ მინიმალური დასაფარი თანხის ოდენობით, საგადახდო პერიოდის ბოლო კალენდარული დღემდე ვადაში. მსესხებლის მიერ საგადახდო პერიოდში სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში სარგებელი, სესხით სარგებლობისათვის, არ დაირიცხება.
- 1.9. ზომები, რომლებსაც მიმართავს ბანკი მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების დროს:
  - 1.9.1. სესხსა და სარგებლზე ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოქმნის შემთხვევაში, ბანკი უგზავნის მსესხებელს შეტყობინებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალებებით. მსესხებლის მიერ, შეტყობინებაში მითითებულ ვადაში დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს:
    - 1) შეაჩეროს გასავლის ოპერაციები მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშებიდან.
    - 2) მოახდინოს გადახდევინების მიქცევა მსესხებლის ნებისმიერ ანგარიშებზე არსებულ ფულად თანხებზე, უდავო (უაქცეპტო) წესით.
    - 3) მიმართოს ნებისმიერ სხვა ზომებს, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით.
  - 1.9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევისათვის, მსესხებლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ზომა.
- 1.10. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეებს ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

- 1.11. ბარათით მომსახურებისათვის დარიცხული წლიური საკომისიო დავალიანება აღიარებული იქნება საკრედიტო ლიმიტის თანხის გამოყენებად და მთლიანად შედის მორიგი მინიმალური დაფარვის თანხის ფულად თანხაში.
- 1.12. აღნიშნულით მხარეები უპირობოდ შეთანხმდნენ, რომ ბანკის ხარჯებს, სასამართლო დანახარჯებს, საფოსტო/საკურიერო ხარჯებს ანაზღაურებს მსესხებელი.
- 1.13. მხარეები თანხმდებიან, რომ მსესხებლის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე სესხის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, ავტომატურად არ მოხდება ბანკის მიერ სესხის წინსწრებით დაფარვა.

## **2. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **2.1. მსესხებელს უფლება აქვს:**

- 2.1.1. ვადამდე სრულად დ სესხი მასზე ფაქტიურად დარიცხულ სარგებელთან ერთად, ან მის გარეშე, საგადახდო პერიოდში სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;
- 2.1.2. თუ სესხის დაბრუნების თარიღი ან/და სარგებლის გადახდის თარიღი ემთხვევა სადღესასწაულო ან დასვენების დღეს, დააბრუნოს სესხი ან/და გადაიხადოს სარგებელი სადღესასწაულო ან დასვენების დღის შესაბამის მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, სესხის დაფარვის ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე.
- 2.1.3. წერილობითი განცხადების საფუძველზე, არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, უსასყიდლოდ, არაუმეტეს თვეში ერთხელ, მიიღოს წერილობითი ფორმით ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად არსებული მსესხებლის დავალიანების (ძირითადი დავალიანების, სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელი თანხების) დასაფარად შემოსული მორიგი ფულადი თანხების გადანაწილების შესახებ;
- 2.1.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი დავალიანების თანხის სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე დაბრუნებისას, წერილობითი ფორმით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, მიიღოს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად არსებული მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი დავალიანების ოდენობის, მათ შორის ძირითადი დავალიანების, სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, საურავის და სხვა გადასახდელი თანხების შესახებ, ვადაგადაცილებული გადასახდელების მითითებით.

### **2.2. ბანკს უფლება აქვს:**

- 2.2.1. გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი და მოსთხოვოს მსესხებელს ყველა დავალიანების ვადამდე დაფარვა, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით, მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევებში: 1) მსესხებლის მიერ თავისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ არასარწმუნო ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტების გამოვლენისას; 2) ბანკის მიმართ არსებული იურიდიული პირის, რომლის საწესდებო კაპიტალის წილის მფლობელი არის მსესხებელი, ნებისმიერ ვალდებულებაზე ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოქმნისას; 3) წინამდებარე ხელშეკრულების

შესაბამისად გაცემულ სესხზე და სესხის მოხმარებისათვის სარგებელზე, 45 კალენდარულ დღეზე მეტი ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოქმნისას; 4) თუ ქონებაზე, მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი თანხების ჩათვლით, მიქცეულია გადახდევინება ან დადებულია ყადაღა; 5) თუ მსესხებელი გადადის სხვა ბანკში, სახელფასო პროექტებით მომსახურების მისაღებად (ხელფასის მიღება სხვა ბანკებში გახსნილი მიმდინარე ანგარიშებიდან);

- 2.2.2. თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, დაბლოკოს მსესხებლის ანგარიში (მათ შორის შეაჩეროს ანგარიშიდან გასავლის ოპერაციები) ანგარიშზე განთავსებულ ფულად თანხებზე გადახდევინების მიქცევის უფლებით, ანგარიშის პირდაპირი დებეტირების გზით: 1) ბანკის მიმართ ნებისმიერ ვალდებულებაზე მსესხებლის დავალიანების არსებობისას; 2) ანგარიშზე ფულის შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში; 3) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 2.2.3. ცალმხრივად შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ახალი სესხების გაცემა იმ შემთხვევაში თუ: 1) მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა არ შეესაბამება ბანკის მოთხოვნებს; 2) მსესხებელმა დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს დავალიანების დროულად დაფარვის ნაწილში; 3) გაუარესდება სიტუაცია საქართველოს საბანკო მომსახურების ბაზარზე; 4) ბანკის მიმართ არსებული იურიდიული პირის, რომლის საწესდებო კაპიტალის წილის მფლობელი არის მსესხებელი, ნებისმიერ ვალდებულებაზე წარმოიქმნება ვადაგადაცილებული დავალიანება.
- 2.2.4. მოსთხოვოს მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- 2.2.5. ნებისმიერ დროს მიმართოს ანგარიშზე შემოსული ფულადი თანხები, ბანკის მიმართ არსებული მსესხებლის დავალიანებების დასაფარად, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად;
- 2.2.6. მოახდინოს, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის (მოთხოვნების) უფლებების სრული მოცულობით ან ნაწილობრივ დათმობა მესამე პირებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მსესხებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რაზეც მსესხებელი იძლევა უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას. აღნიშნულით მსესხებელი ადასტურებს, რომ მესამე პირის ვინაობას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს;
- 2.2.7. გადასცეს მესამე პირებს (კოლექტორული კომპანიების ჩათვლით, რომლებთანაც ბანკს დადებული აქვს ხელშეკრულება) მსესხებლის და წინამდებარე ხელშეკრულების შესახებ მონაცემები, და აგრეთვე ინფორმაცია (მათ შორის ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს საბანკო და სხვა კომერციულ საიდუმლოს), რომელიც დაკავშირებულია მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან, რაზეც მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებით იძლევა თავის უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას;
- 2.2.8. მსესხებლის აქცეპტის (თანხმობის) გარეშე აწარმოოს ანგარიშის ვალუტისაგან განსხვავებული ბანკში შემოსული ფულის კონვერტაცია, კონვერტაციის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რაზეც მსესხებელი იძლევა თავის უპირობო და გამოუთხოვად თანხმობას.

- 2.2.9. უაქცეპტოდ, პირდაპირი დებეტირების გზით, ამოიღოს წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად წარმოქმნილი მსესხებლის დავალიანების თანხები, მისი ყველა საბანკო ანგარიშიდან, რომელიც არ საჭიროებს მსესხებლის აქცეპტს.
- 2.2.10. წინამდებარე ხელშეკრულებით, მსესხებელი იძლევა თანხმობას მსესხებლის შესახებ, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციისა და მსესხებელზე საკრედიტო ანგარიშების სააქციო საზოგადოება „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204470740) მონაცემთა ბაზაში წარდგენის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და პირობებით. მსესხებელი თანხმობას აცხადებს ბანკის უფლებამოსილებაზე, გაეცნოს როგორც მის შესახებ მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციას, ასევე მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი სხვა წყაროდან. მიწოდებული ინფორმაცია შეზღუდვის გარეშე მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, კრედიტის მიმდინარე დავალიანების მოცულობას, საფინანსო ინსტრუმენტების მიზნობრივ დანიშნულებას, დარიცხულ პროცენტებს, გაცემული საფინანსო ინსტრუმენტების ვადას, მსესხებლის მიერ ვალდებულებების გადახდის დროულობას, კრედიტის დარჩენილ ნაწილს, ხოლო სასამართლო განხილვის ან სასამართლოს გარეშე უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში – სასამართლოს და სასამართლო-აღმასრულებელი წარმოების შედეგებს.
- 2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლებით ხელშეკრულების/საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს მსესხებელს.
- 2.4. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას, თუ მსესხებლის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევა, ვალდებულებათა დაფარვის პრიორიტეტულობა განისაზღვრება შემდეგი წესით: პირველ რიგში დაიფარება არაუზრუნველყოფილი ვალდებულება(ები), მეორე რიგში - უფრო დიდი მოცულობის ვალდებულება(ები).
- 2.5. **ბანკი ვალდებულია:**
- 2.5.1. სესხის მომსახურების ნებისმიერ პერიოდში, მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების თანხა ვადამდე სრულად დასაფარად, ფაქტიურად დარიცხული სარგებლის გადახდით ან მის გარეშე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად არ ხდება სარგებლის დარიცხვა, პირგასამტეხლოს და საკომისიოს გადახდის გარეშე.
- 2.5.2. მსესხებლის წერილობითი განცხადების თანახმად, უსასყიდლოდ, არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, წარუდგინოს მსესხებელს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად არსებული მსესხებლის მიერ დასაბრუნებელი დავალიანების ოდენობის, მათ შორის ძირითადი დავალიანების, სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, საურავის და სხვა გადასახდელი თანხების შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი დავალიანების თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ ვადამდე დაბრუნებისას;

- 2.5.3. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული საშუალებებით და არა მხოლოდ მითითებული საშუალებებით, შეატყობინოს მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადაგადაცილებული გადასახდელების შეტანის აუცილებლობის და იმ შედეგების შესახებ, რომელიც დადგება ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევაში.
- 2.5.4. არ გაახმაუროს კონფიდენციალური ინფორმაცია, და აგრეთვე ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან/და საბანკო საიდუმლოს და დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;
- 2.5.5. ჩარიცხოს ანგარიშზე ფული არაუგვიანეს ბანკში ფულის შემოსვლის და სათანადოდ გაფორმებული საგადასახადო საბუთების ასლების მიღების დღის მომდევნო საბანკო დღისა;
- 2.5.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის, მთლიანად ან ნაწილობრივ ვადამდე დაბრუნების შესახებ მსესხებლის განცხადების საფუძველზე, უსასყიდლოდ, არაუმეტეს სამი სამუშაო დღის ვადაში, აცნობოს მას დასაბრუნებელი დავალიანების ოდენობის, მათ შორის ძირითადი დავალიანების, სარგებელის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს, საურავის და სხვა გადასახდელი თანხების შესახებ, ვადაგადაცილებული გადასახდელების მითითებით.

## 2.6. მსესხებელი ვალდებულია:

- 2.6.1. დროულად და სრული ოდენობით დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა და გადაიხადოს მასზე დადებული სარგებელი;
- 2.6.2. სესხის არადროული დაბრუნების ან/და მასზე დადებული სარგებელის გადახდის შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით და წესით;
- 2.6.3. გადაიხადოს ბანკის მომსახურების საფასური ტარიფების შესაბამისად;
- 2.6.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს იმ გარემოებების დადგომის შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
- 2.6.5. არ იყოს თავდები მესამე პირთა ვალდებულებების შესრულებაზე, აგრეთვე არ დადოს სხვა გარიგებები, რომლებიც შეაფერხებენ მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადო შესრულებას;
- 2.6.6. საკონტაქტო მონაცემების/რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, ამგვარი ცვლილების დღიდან, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს ბანკს შეტყობინება, ხოლო ბანკის მოთხოვნისამებრ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარადგინოს სათანადო დამადასტურებელი საბუთები;
- 2.6.7. ბანკის მოთხოვნისამებრ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვადამდე დააბრუნოს/გადაიხადოს სესხის თანხა და დადებული სარგებელი, საურავი (მათი არსებობის შემთხვევაში).

### 3. მხარეთა შორის უთანხმოება და დავა

- 3.1. მხარეთა შორის უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, წინასწარ რეგულირდება მხარეთა მოლაპარაკებების გზით.
- 3.2. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება, ბანკის უპირობო და განსაკუთრებული არჩევით, ექვემდებარება საერთო სასამართლოებში განხილვას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ბანკის ადგილმდებარეობის მიხედვით.
- 3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით მხარეები შეთანხმდნენ მასზედ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, დაუყოვნებლივ ამოქმედდება სასამართლოს მიერ ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

### 4. კონფიდენციალურობა

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების არსებობის და პირობების შესახებ). ასეთი ინფორმაციის ნებისმიერი სახით გადაცემა მესამე პირებზე, გადაცემის ფორმის მიუხედავად, შესაძლებელია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 4.2. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დებულებები კონფიდენციალურობის (და საბანკო საიდუმლოს) შესახებ არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:
  - 4.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით უფლებების დათმობისას და ვალის გადაკისრებისას;
  - 4.2.2. ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად არსებული დავალიანების თანხის მსესხებლის ყველა ანგარიშიდან უაქცეპტოდ ამოღებისას და ამასთან დაკავშირებით სხვა უფლებამოსილი მესამე პირებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებისას;
  - 4.2.3. როდესაც ბანკი აწვდის მონაცემებს მსესხებლისა და წინამდებარე ხელშეკრულების დადების შესახებ საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში შესატანად, აგრეთვე ინფორმაციას, მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების შემადგენლობის და საშუალებების შესახებ და იღებს საკრედიტო ანგარიშს მსესხებლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად.

## 5. შეტყობინებები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ ბანკის მიერ მსესხებელთან გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება სწორად გაფორმებულად და მსესხებლის მიერ მიღებულად, თუ ეს შეტყობინებები გაგზავნილია ბანკის მიერ მსესხებელთან შემდეგი გზით:

- მიწოდებულია ფოსტით ან საკურიერო სამსახურის მიერ
- ელექტრონული ფოსტით;
- ფაქსით;
- მობილური ან სხვა სატელეფონო კავშირით;
- სათანადო ინფორმაციის განთავსებით ფილიალებში/სერვის ცენტრებში, ბანკის ვებ გვერდზე ელექტრონულ მისამართზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge), წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირობების გათვალისწინებით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ მსესხებლისაგან გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინებები ბანკში ჩაითვლება სწორად გაფორმებულად და ბანკის მიერ მიღებულად, თუ ეს შეტყობინებები გაგზავნილია მსესხებლის მიერ ბანკში შემდეგი გზით:

- ბანკის უფლებამოსილ თანამშრომელზე გადაცემით და მისგან დამადასტურებელი ხელმოწერის მიღებით;
- ფოსტით ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით;

5.3. ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების თარიღად ჩაითვლება:

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაეცემა პირადად ან საკურიერო მომსახურების მეშვეობით** - მიღების დღე, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული შესაბამისი მონიშვნით;

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია შეკვეთილი წერილით** - გაგზავნიდან მესამე კალენდარული დღე (საფოსტო ორგანიზაციის მიერ გაგზავნისას გაცემული დოკუმენტის თარიღის მიხედვით);

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია ფაქსით** - გაგზავნის დღე, ფაქსის აპარატის მიერ ფაქსის ნომერზე, წარმატებული გაგზავნის შესახებ ქვითრის არსებობის პირობით;

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით, მობილური კავშირის გამოყენებით** - შეტყობინების გაგზავნის დღე (გაგზავნის შესახებ შეტყობინების არსებობის შემთხვევაში);

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც გადაეცემა მობილური ან სხვა სატელეფონო კავშირის მეშვეობით (ხმოვანი შეტყობინებებისათვის)** - ზარის თარიღი და დრო;

**შეტყობინებებისათვის, რომლებიც განთავსებულია ფილიალებში/სერვის ცენტრებში/ ბანკის ვებ-გვერდზე** - შეტყობინების განთავსების დღე.

5.4. თუ რომელიმე მხარე შეცვლის საკონტაქტო მონაცემებს/რეკვიზიტებს, რომლებსაც იყენებს მეორე მხარე ან/და შესაძლოა გამოიყენოს შეტყობინების გასაგზავნად, ის მხარე, რომელმაც შეცვალა ეს მონაცემები, ვალდებულია ასეთი ცვლილებების შეტანიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება აღნიშნულის



შესახებ, ან გადასცეს საჭირო ინფორმაცია ბანკის საკონტაქტო ცენტრის სამსახურს, იმ შემთხვევებში, თუ ბანკის მიერ განსაზღვრულია, რომ მხარის ზეპირი განაცხადი, საკონტაქტო მონაცემების/რეკვიზიტების ცვლელელების შესახებ, არის საკმარისი.

- 5.5. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მსესხებელი ვერ მიიღებს ან არადროულად მიიღებს შეტყობინებებს, საკონტაქტო მონაცემების/რეკვიზიტების შეცვლის გამო, რომელთა შეცვლის შესახებაც მსესხებელმა წერილობით არ აცნობა ბანკს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
- 5.6. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები ადასტურებენ, რომ მსესხებელი იღებს თავის თავზე რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ოპერატიული კავშირის გამოყენებასთან, შეტყობინებების გაგზავნის ან/და მიღების მიზნისათვის (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება: თაღლითობის რისკით, გაგზავნილ ინფორმაციაზე არაუფლებამოსილი წვდომით, ასევე მსესხებლის მიერ შეტყობინებების მიუღებლობის ან დაგვიანებით მიღების რისკით, ინფორმაციის მსესხებლის/ბანკის მიერ მიღებამდე დაკარგვის რისკით, რომელიც გამოწვეულია იმ ოპერატიული კავშირის საშუალებების გაუმართაობის ან/და სამუშაო დანადგარების მოშლილობით, რომლებიც გამოიყენება შეტყობინებების გასაგზავნად).
- 5.7. ბანკი არ აგებს პასუხს მსესხებლის მიერ გაწეულ ნებისმიერ ზარალზე, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულების 5.6. პუნქტში, თუ არ იქნება დამტკიცებული, რომ ამგვარი ზარალი გამოწვეული იყო ბანკის დაუდევრობის შედეგად ან თავისი მოვალეობების განზრახ შეუსრულებლობით.
- 5.8. მხარეები თანხმდებიან წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმებაზე, თუ ამ ხელშეკრულების პირობების ცვლილება ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ.

## 6. დამატებითი პირობები

- 6.1. მსესხებელი არ არის უფლებამოსილი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები გადასცეს მესამე მხარეს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 6.2. წინამდებარე ხელშეკრულების იმ ნაწილში რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით.
- 6.3. მსესხებელი უფლებამოსილია წარადგინოს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში **ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით**. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 (ათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge).